**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**

**სხდომის ოქმი № 2**

ქ. თბილისი

**08.02.2018**

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

3. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

4. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

5. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი;

6. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

7. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ლალი შაიშმელაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ნინო ჟვანია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**რამაზ გიუნაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**ლევან გოგიჩაიშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

1. შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინო

ნათია საჯაია - იურისტი

ავთანდილ ლომსიანიძე - დირექტორის მოადგილე

ნაირა მიმინოშვილი - ხარისხის მართვა

მაკა ჭიაბერაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

2. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

სალომე ოსეფაშვილი - იურისტი

ისმაილ ოზქანი - დირექტორი

ქეთევან ჭანტურია - დირექტორის მოადგილე

3. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯი

ირინა ზედგინიძე - დირექტორი

ნინა ჩერქეზიშვილი - დირექტორის მოადგილე

ქეთევან თავბერიძე - ინფორმაციული მენეჯერი

**4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):**

მანანა ალიბეგაშვილი

ნატო გაბოშვილი

ქეთევან ბაცანკალაშვილი

პეტრე ბაბილუა

ია ფირანიშვილი - გიგიბერია

**5. სხვა დამსწრე პირები:**

მანანა მახარაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ მურღულია.

სხდომა გაიხსნა 16;20 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოსთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოსთან დააყენა შუამდგომლობა, რომ სხდომის დღის წესრიგში შესულიყო ცვლილება და დღის წესრიგში არსებული N 3 საკითხის განხილვა გადადებულიყო შემდეგი საბჭოს სხდომამდე, შპს წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მიერ ცენტრში შემოსული წერილის გათვალისწინებით. კორესპონდენციით დაწესებულება იტყობინებოდა სკოლის დირექტორის ჯანმრთელობის მოულოდნელი გაუარესების შესახებ. საბჭო დაეთანხმა და ერთხმად დაამტკიცა შეცვლილი სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოსთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

**1. შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოსთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მანანა ალიბეგაშვილმა და ნატო გაბოშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ მანანა ალიბეგაშვილის განმარტებით, შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინო", რეესტრის მონაცემების მიხედვით მდებარეობდა ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩის მიმდებარედ, ვარკეთილის დასახლება,მიკრო/რაიონი II,კორპუსი 11 ა-ში. დაწესებულება ფლობდა 2045,00 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ N1 და N2 – (სპორტულ მოედანს) შენობა-ნაგებობებს.

ექსპერტის თქმით, სკოლის სამივე სართულზე განლაგებული იყო 35 ოთახი. მათ შორის 25 კლასი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ერთი კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, 6 განაყოფის ოთახი. რესურს ოთახი, სსსმ მოსწავლეებისათვის, რომელიც ასევე ასრულებდა ექიმის კაბინეტის ფუნქციას. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, სასკოლო დაფებით, ზოგიერთ ოთახში წიგნების კარადებით. სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით. სკოლაში ფიქსირდებოდა 726 მერხი და 722 სკამი. 29 მერხი და 19 სკამი დასაწყობებული იყო , ხოლო დანარჩენი განთავსებული იყო ოთახებში. პირველ სართულზე განთავსებულ საკლასო ოთახებს არ გააჩნდა საკმარისი ბუნებრივი განათება, რაც გამოწვეული იყო ფანჯრის ზომის სიმცირით და ასევე დაბურული მინებით. ექსპერტთა რეკომენდაციის შემდეგ,

ვიზიტის პერიოდში, მოხდა დაბურული მინების შეცვლა, რამაც პრობლემა ნაწილობრივ გამოასწორა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველ სართულზე, ერთ-ერთ ოთახში განთავსებული იყო მე - 12 კლასი, რომელშიც ირიცხებოდა 43 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა შეკითხვით, თუ რამ განაპირობა მე-12 კლასების გაერთიანება და როგორ ახერხებდნენ ერთ კლასში 43 მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ვიზიტის შემდეგ მოხდა მე-12 კლასის გაყოფა და თან ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი ბუნდოვანი იყო და როგორც წესი, ზემოაღნიშნული შემთხვევები გამოწვეული იყო ფინანსური დაინტერესებით, ან მე - 12 კლასში მოსწავლეებისთვის თავშესაფრის შექმნის და სკოლაში არ გამოცხადების მიზნით.

საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ, აღნიშნა, რომ კითხვას, რომელიც დასვა სხდომის თავმჯდომარემ, მე -12 კლასის გაერთიანების საჭიროებასთან დაკავშირებით, პასუხი არ გასცემია, რაზეც სკოლის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ მათ პასუხი არ ჰქონდათ აღნიშნულ კითხვაზე, ხოლო სკოლის დირექტორმა, რომელიც შშმ პირია, ცენტრში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო ვერ მოახერხა საბჭოს სხდომაზე დასწრება.

საბჭოს წევრებმა შუამდგომლობით მიმართეს ცენტრს, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, დაწესებულებაში განხორციელებულიყო მონიტორინგი.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 700 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას არ დაეთანხმნენ ექსპერტები და განაცხადეს, რომ სკოლას გააჩნდა შესაბამისი რაოდენობის მერხი და სკამი, თუმცა მათი სრულად განთავსების შემთხვევაში საკლასო ოთახებში შეიზღუდებოდა სივრცე, რაც ხელს შეუშლიდა მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენაში.

ექსპერტების თქმით, სკოლას შეეძლო ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად, მომსახურება გაეწია 600 მოსწავლისთვის. საბჭომ იმსჯელა ავტორიზციის სტანდარტებთან შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოს შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოსთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოს (ს/კ:208142534) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

**2. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და პეტრე ბაბილუამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტ ქეთევან ბაცანკალაშვილის განცხადებით, შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი ახორციელებდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. სკოლას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ხარვეზები არ გააჩნდა.

შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმს, პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით 2017 წლის 11ივნისის N 7/21 ბრძანებით, დამტკიცებული ჰქონდა 2017-2018 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან.

სკოლა წარმატებით ასრულებდა მისიის იმ ნაწილს, რომელიც არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის სწავლებასა და პოპულარიზაციას გულისხმობდა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სკოლის მოსწავლეთაგან არც ერთი არ იყო ეროვნებით ქართველი, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა მხოლოდ ქართული სექტორი და სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

საგნობრივი კათედრები აერთიანებდა სკოლის ყველა პედაგოგს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს პორტფოლიოები, რომლებიც მოიცავდა შესაბამისი საგნის სასწავლო პროგრამებს. აღნიშნული პროგრამები თანხვედრაში იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტანდარტებთან. პედაგოგების მიერ შემუშავებულ სასწავლო პროგრამებში გაწერილი იყო საგნის/საფეხურის მიზნები, საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორები, მისაღწევი შედეგებით, შეფასების მეთოდები, გამოყენებული ლიტერატურისა და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი. მასწავლებლის პორტფოლიო აგრეთვე მოიცავდა დაწყებითი საფეხურის ძირითადი ამოცანების მისაღწევად, პედაგოგის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და ღონისძიებების დამადასტურებელ დოკუმენტაციას: მიზნებს, აღწერილობასა და ფოტო-მასალას.

დაწესებულებაში თითოეულ კლასს ჰყავდა დამრიგებელი, რომელიც აგრეთვე ამავე კლასის მასწავლებელი იყო. სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც მოიცავდა კლასის დამრიგებლის მუშაობის მიზნებს, მოვალეობებს, სადამრიგებლო საათის განხორციელების რეკომენდაციებსა და ძირითად თემებს. სკოლის სადამრიგებლო დებულებაში გაწერილი იყო დამრიგებლის უფლება-ვალდებულებები, სადამრიგებლო საათის პროგრამის პრინციპები, სადამრიგებლო საკლასო ოთახის მოწყობის პროცედურები და სხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.2. ექსპერტ ქეთევან ბაცანკალაშვილის განცხადებით, ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით არსებითი ხარვეზები არ გამოვლენილა. შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში“ დასაქმებული იყო 25 თანამშრომელი. მათგან 17 მასწავლებელი, ხოლო 8 ადმინისტრაციის წევრი და დამხმარე პერსონალი. სკოლას ჰყავდა დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმეთამმართველი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, ექთანი, დაცვის ორი თანამშრომელი და დამლაგებელი.

16 მასწავლებელი ჩართული იყო მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. ამათგან 2 უფროსი მასწავლებლი იყო, ხოლო 14 - პრაქტიკოსი. ერთი პედაგოგი, სპორტის მასწავლებელი, არ იყო ჩართული სქემაში. იგი გეგმავდა საგნის გამოცდის ჩაბარებას. ამავდროულად, სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი სპორტის მასწავლებლის თანამდებობაზე, სქემაში ჩართული პედაგოგის დასაქმების

მიზნით, თუმცა, ამ დრომდე მასწავლებლის შერჩევა ვერ მოხერხდა, განცხადებაზე გამოხმაურების ნაკლებობის გამო.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.2. ექსპერტ პეტრე ბაბილუას განცხადებით, შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი" მდებარეობდა ქ. მარნეულში, აღმაშენებლის 89-ში. დაწესებულება განთავსებული იყო ორსართულიან შენობაში. აღნიშნული შენობა იყო შპს „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის" საკუთრება, რომელიც იყო შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის" დამფუძნებელი. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით იკითხებოდა, რომ აღნიშნულ მისამართზე ჩამოთვლილი იყო N 1 შენობა-ნაგებობა განაშენიანების ფართით 406 კვ.მ. ვიზუალური დათვალიერება-გადათვლით, ასევე წარმოდგენილი შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით, შენობის ფართი შემდეგნაირად ნაწილდებოდა: I სართული-308.04 კვ.მ, II სართული-309.87 კვ. მ, სხვენი-127.14 კვ. მ. აღნიშნული გეგმის მიხედვით ფართების ჯამი 745.05 კვ. მ არ ემთხვეოდა საჯარო რეესტრის ამონაწერს. რაც შეეხებოდა საიჯარო ხელშეკრულებას, ის დადებული იყო 2018 წლის 31 იანვრამდე. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებდა 2024 წლის 1 მარტამდე. ვინაიდან აღნიშნული დაწესებულების მესაკუთრის ქონებას ადევს საგადასახადო გირავნობა-იპოთეკა შემოსავლების სამსახურის მხრიდან, გამყარებული სასამართლოს გადაწყვეტილებით საიჯარო ხელშეკრულების დარეგისტრირება ვერ მოხერხდა და ამიტომ გაფორმდა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება. იმის დასტურად, რომ რეალური ფართობი ნამდვილად იყო მეტი ვიდრე რეესტრში დარეგისტრირებული ფართი, დაწესებულებამ წარმოადგინა შემოსავლების სამსახურის მიერ დაკვეთილი აუდიტის დასკვნა, სადაც რამდენიმე ადგილას იყო ჩანაწერი ფართის შესახებ და მითითებული იყო 745.22 კვ. მ. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის ამონაწერი, სადაც შენობის საერთო ფართად აღნიშნული იყო 745 კვ. მ.

სკოლაში იყო 13 საკლასო ოთახი, მათ შორის ერთი მუსიკის კაბინეტი და ერთი კომპიუტერული კლასი. ვიზიტის პერიოდში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა 8 საკლასო ოთახში. შენობაში საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარით. სულ

დაწესებულებაში იყო ერთადგილიანი 160 სასკოლო მერხი და სკამი, 7 პრინტერი, 12 პროექტორი, 1 ცალი ჭადრაკის დაფა, 1 ელექტრონული პიანინო.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში იყო ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იყო სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი. დაწესებულებას ჰქონდა ბიბლიოთეკის გამოყენების წესი, დამტკიცებული დირექტორის მიერ. ბიბლიოთეკაში გამოკრული იყო წიგნთან მოპყრობის 10 წესი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი იყო 1200 წიგნი. ყველა წიგნი დამუშავებული იყო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკარი იყო სკოლის ისტორია-ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, რომელსაც ჰქონდა 18 საათი დატვირთვა. ჩვენს შეკითხვაზე თუ ვინ ასრულებდა მის ფუნქციებს გაკვეთილების დროს, მან გვიპასუხა, რომ მისი არყოფნის შემთხვევაში, ბიბლიოთეკარის მოვალეობას ითავსებდა საქმეთამმართველი.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ სკოლის წარმომადგენლებს მიმართა, აეყვანათ ბიბლიოთეკარი და ამით გადაეჭრათ ეს პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 160 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმს (ს/კ: 434159091) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით.

**3. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა: ნატო გაბოშვილმა და ია ფირანიშვილმა-გიგიბერიამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად. საბჭოს ესწრებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი მანანა მახარაშვილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2017 წლის 12 და 13 დეკემბერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების გეგმიური მონიტორინგის გეგმის ფარგლებში, კონკრეტულად ამ შემთხვევაში მოწმდებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულება და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანმა სკოლა-კოლეჯმა ავტორიზაცია გაიარა 2016 წლის 12 დეკემბერს (გადაწყვეტილება 144, ცვლილება 2017 წლის 10 თებერვალი, გადაწყვეტილება 32), როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელსაც უფლება ჰქონდა განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. დაწესებულება ახორციელებდა 5 პროფესიულ საგნობრივ პროგრამას, აქედან 4 პროგრამაზე სწავლობდნენ სტუდენტები და მათი მონაცემები ასახული იყო საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, თუმცა იყო უზუსტობა ერთ სტუდენტთან დაკავშირებით, რაც ვიზიტის პერიოდშივე გასწორდა. პროფესიული პროგრამების რიგი სასწავლო კურსები ინტეგრირებული იყო ეროვნულ

სასწავლო გეგმაში, დამატებითი სავალდებულო და არჩევითი საგნების სტატუსით, რაც დასაშვები იყო და შესაძლო იყო კარგ მაგალითადაც მოგვეაზრებინა, რადგან საშუალებას იძლეოდა ოპტიმალური სასწავლო გეგმა ყოფილიყო შედგენილი იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც პარალელურად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მესამე საფეხურზე სწავლობდნენ. მოსწავლეები/პროფესიული სტუდენტები ყოველდღიურად სწავლობდნენ საშუალოდ 6-7 გაკვეთილი და შაბათი დღე. სწავლების მესამე საფეხურზე ხორციელდებოდა პროფილური სწავლება 4 მიმართულებით: ტექნიკური (ინტერნეტ ტექნოლოგი(ვებ-სპეციალისტი) , საბუნებისმეტყველო (კბილის ტექნიკოსი, მცენარეთა დაცვა), ჰუმანიტარული (ოფისის მენეჯერი), ეკონომიკური (ბუღალტერი), საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებისთვის სკოლა-კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:

- შპს „ბუღალტერთა მომზადების ცენტრი,
- შპს „სასწავლო ცენტრი პროფესიონალი“
- „კს იურიდიული ბიურო „ ნანა წულაძე და
- შპს დენტექსი -95
- სტუ, კოსტავას 69, პროგრამისთვის “ მცენარეთა დამამზადებელი“

ვიზიტის დროს შესაძლებელი გახდა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტებთან გასაუბრება. მოსაზრება გამოთქვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა მანანა მახარაშვილმაც. მან აღნიშნა, რომ პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით პრობლემას ვერ ხედავდა, კითხვა გაუჩნდა პროგრამების გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების თაობაზე, თუმცა მოგვიანებით დაწესებულებამ წარმოადგინა კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება, რითაც ადასტურებდა სტუდენტთა მობილობის შესაძლებლობას პროგრამის გაუქმების შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარე გრიგოლ მურღულია დაინტერესდა, რაიმე განმარტება ხომ არ ჰქონდა სკოლა-კოლეჯის დირექტორს. ქალბატონმა ირინე ზედგენიძემ საბჭოს მოახსენა, რომ 2005 წლიდან შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯი ახორციელებდა პროფესიულ პროგრამებს და ექსპერტთა კომპეტენტურობამ შესაძლებელი გახადა სწორად შეფასებულიყო აქ არსებული ინტეგრირებული მოდელი.

ექსპერტებს ვიზიტზე სხვა შენიშვნები არ დაუფიქსირებიათ.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს კითხვები ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

**გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში (ს/კ205083112) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 18:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**თავმჯდომარე**

გრიგოლ მურღულია

**მდივანი**

თამილა ჩუბინიძე